საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/01/2026

MES 9 26 0000032542

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1625759 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2.2. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის 2025 წლის 17 ოქტომბრის №1361467 ბრძანების შესაბამისად (ცვლილება ბრძანებაში - 28 ოქტომბრის № 1418147 ბრძანება) აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა.

2.3. საბჭომ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 26 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული სტანდარტების საერთო შეფასება, თუმცა 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა დაკორექტირდეს ლოგიკით მარტივიდან-რთულისაკენ სტანდარტის 1.4 კომპონენტში აღნიშნული დეტალური შენიშვნების გათვალისწინებით“ -

გადაიტანა რჩევების ნაწილში, შედეგად 1.4 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

ამან არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭომ, დასკვნაში არსებული რეკომენდაცია 5.1 კომპონენტში ამოიღო -

"ვინაიდან ელექტრონული სწავლების განხორციელება ითვალისწინებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებას, რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული დოკუმენტის დროულად მოპოვება." შედეგად, 5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ამან არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელოს დანართი №1- ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ - ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის №29682 სხდომის ოქმის №7 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე